ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი
„ინტელექტი“

პრესრელიზი

3 ივლისს 12 საათზე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ლიტვის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით პროექტის “HACCP და ISO სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის რეგიონში“ პრეზენტაციას გამართავს.

პროექტის მიზანია საქართველოს ევრო ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა საქართველოში არსებული სასურსათო და ცხოველთა საკვების წარმოების სფეროში არსებული სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საშუალებით.

პრეზენტაციის დასრულებისთანავე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ და აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნული პროექტის - “HACCP და ISO სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის რეგიონში“ - ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმს ხელს მოაწერენ.

ერთობლივი თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს HACCP და ISO სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სურსათისა და ცხოველთა საკვების მწარმოებელ საწარმოებში.

პროექტს ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ საქართველოში ლიტვის რეპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით.

პროექტის პარტნიორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მისამართი: ქ. ბათუმი, აკადემიკოს მ. კომახიძის N119

(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო)

<u>**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**</u>

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. # 13
ტელ.: 241640; 241650; 599 18 50 98
ელ. ფოსტა: teona@intellect.org.ge
საკონტაქტო პირი: **თეონა კაკაციძე**